11
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 142
ივლისის 7, კვირა, 1902 წ.
1877

ივერია

№ 142
ივლისის 7, კვირა, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მოსკოვი 1893 — ს.-პეტერბურგი 1870 — ნ.-ნოვგოროდი 1897

სავაჭრო სახლი
დონნერისა დ: ლეიტცისა
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.
ჟირარდის მანუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.
საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად
ტილოსი, ბამბისა და წინდა-ჩულქის საქონელი.
ავეჯის გადასაკვრელი მატერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები
საბნები მატყლისა და აბრეშუმისა.
საცვლები ქალისა და კაცისა
მზითევი.

მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებითი პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესის ჯილდოსი Grand Prix-ისა.

საწყობი ქაღალდისა
დიტიატკოვსკის ამხანაგობის
მოსკოვი. 1882 წ — ნოვგოროდი 1896 წ.
საწერ-ქაღალდის ქარხნების ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად**.

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—6.—3)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და ზნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე გრიდონოვისა, № 9, სერგიევისა დ ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს. (24—361—6)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

ქართველ ქალთა
ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (мѣтки). ბარონის ქუჩა. № 12

1) უმაღლესის ბრძანების ძალით, რომელიც გამოიცა 21 მაისს 1901 წელსა, აკრძალულია ნადირობა სახელმწიფოს შემდეგ ადგილებში მდ. მტკვრის ხეობაზე: თაქლისის კუნძულებზე, ალიხანაგაჯზე, ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების მამულში, შიხილიში, სალოგლინში, ძამშადილში, ძეგამში, დალლიაში, სამუხში, მინგეჩაურში, არეშში, კლიჩლინში და მუღანლოში.

2) ნადირობა კერძო მეპატრონეთა მამულში, სასოფლო სამეურნეო წესდების 165 მუხლის ძალით, შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ თითონ მემამულე პატრონთაგან ექმნებათ წერილობითი ნება-რთვა, რომელსაც მონადირე მუდამ თან უნდა ატარებდეს და რომელიც პირველ მოთხოვნილებისათანავე უნდა წარუდგინონ იმ პირთ, რომელნიც დასახელებულნი არიან ამავე განცხადებაში, მ-4 მუხლში.

3) ვინც პირველ მოთხოვნილებაზედვე არ წარუდგენს მთხოვნელს ნადირობის წერილობითს ნება-რთვას კერძო მემამულეთაგან, ან ვისაც არ ექნება ეს ნება-რთვა და თავისნებით დაიწყებს ნადირობას, ისინი დაისჯებიან თანახმად კანონისა о нак. налаг. мир. суд. ст. ст. 56, 56, 56 уст.

4) ამ წესების ყურის გდება ევალებათ საზოგადოდ რკინის გზაზედ მოსამსახურე ჟანდარმთა ადმინისტრაციას, პოლიციას და ყველა კერძო და სახელმწიფო ტყის მცველებს, ლესნიჩებს და მათ უფროს მემამულეთ, ყოველ სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურე მოხელეთ, ყოველ სასოფლო დაწესებულებაში მოსამსახურე პირთ და ყველა ტყისა და მინდვრის მეთვალყურეთ.

(1—6.—1)

გორში
ექიმი კ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:
კ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:
პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.
ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, 12—1 საათ.
გრ. ვ. სოგოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:
გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

წესდება.

სამღვდელოთა და მედავითნეთა პენსიებისა და ერთ-დროებით შემწეობისა

(დასასრული *)

IV პენსიის მოსპობა.

40) პენსია სამღვდელოსა და მედავითნეს მოესპობა: ა) თუ იგი ხელ-ახლა საეპარქიო ან სხვა უწყების შტატის სამსახურში შევიდა; ბ) თუ ბერად აღიკვეცა; გ) თუ ღირსება ჩამოერთვა, ან სასულიერო წოდებიდგან განიდევნა; დ) თუ სხვა სახელმწიფოში რუსეთის მთავრობის ნება-დაურთველად თანამდებობა ან სამსახური მიიღო და ე) თუ საზღვარ-გარეთ ნება-დართულ ვადაზე მეტ-ხანს დაჰყო, იმათ გარდა, რომელთაც სამსახურის გამო საზღვარ-გარეთ უხდებათ ყოფნა, ან რომელთაც უმაღლესად ნება დაერთო საზღვარ-გარეთ ყოფნის ყოფნის დროსაც მიიღონ პენსია.

41) იმ სამღვდელოს და მედავითნეებს, რომელთაც შტატიდან გასვლის შემდეგ პენსია აქვთ, თუ წინანდელ სამსახურის გამო სისხლის სამართალში იქმნენ მიცემულნი, ეძლევათ პენსიის ნახევარი; მეორე ნახევარი საქმის დამთავრების შემდეგ მიეცემათ თუ სასამართლომ გაამართლა ან ისეთი სასჯელი მიუსაჯა, რომელიც ამ წესდების ძალით პენსიის მიღებას არ უსპობს.

42) სამღვდელოთა და მედავითნეთა ქვრივებს პენსია მოესპობათ: ა) თუ გათხოვდნენ; ბ) თუ მონოზნად აღიკვეცნენ; გ) თუ ისეთი სასჯელი მიესაჯათ, რომელსაც უფლებათა ჩამორთმევა ან შეზღუდვა მოსდევს და დ) თუ საზღვარ-გარედ ნება-დართულ ვადაზე მეტ ხანს დარჩებიან, იმათ გარდა, რომელთაც ნება დაერთოთ საზღვარ-გარედ ყოფნის დროსაც მიიღონ პენსია.

43) სამღვდელოთა და მედავითნეთა ობლებს პენსია მოესპობათ: ა) როდესაც 21 წლისა შესრულდებიან; ბ) თუ სასწავლებელში შევიდნენ სახელმწიფო ხარჯით; გ) თუ საზღვარ-გარედ ნება-დართულ ვადაზედ მეტ ხანს დარჩებიან, იმათ გარდა, რომელთაც უმაღლესად ნება დაერთოთ საზღვარ-გარედ ყოფნის დროსაც მიიღონ პენსია და დ) თუ ისეთი სასჯელი მიესაჯათ, რომელსაც უფლებათა ჩამორთმევა ან შეზღუდვა მოსდევს. ამას გარდა პენსია მოესპობათ: ვაჟებს მაშინ, როდესაც სახელმწიფო სამსახურში შევლენ და ქალებს,—როდესაც გათხოვდებიან.

44) იმ ობოლთ, რომელნიც სასწავლებლებში სწავლობენ საეპარქიო სამღვდელოებისა, დაწესებულებათა და კერძო კაცთა ხარჯით, პენსია არ მოესპობათ, მხოლოდ ფული ობლების ნაცვლად მიეცემა საეპარქიო მთავრობას, რომელმაც იგი უნდა შეიტანოს შემნახველ კასსაში და შემდეგ სასწავლებლიდგან გამოსვლისა სარგებლით მისცეს პატრონს. იმ შემთხვევაში, თუ პენსიის პატრონი მცირე-წლოვანია, ფული მიეცემა დედას ან მზრუნველს. თუ მოსწავლე, რომელსაც პენსია აქვს, გარდაიცვალა სასწავლებელში ყოფნის დროს, ფული გადაეცემა დედას ან, თუ იგი მიცვალებულია, სხვა ნათესავებს მემკვიდრეობათა შესახების კანონების თანახმად.

ტფილისი, 7 ივლისს.

დიდ-დიდი მამულები გაიყიდა და უცხოთა ხელში გადავიდაო, გვწერენ. მამა-პაპათა სისხლით მორწყული, მილიონის საღირალი ტყე-ველი საყდრებით და ძველის კოშკებით, სულ უფასოდ გაეყიდა ქართველსაო, გვატყობინებენ. ყოველ-დღე მოგვდის ამისთანა სამწუხარო ამბები და ნიშანი არ არის, რომ მამულების ყიდვა შეჩერდეს და ჩალის ფასად არ დაეკარგოს შთამომავლობას მამაც წინაპართაგან დაცული და გაპოხიერებული მამულ-დედული, ეს უშრეტი წყარო დამოუკიდებელ ცხოვრებისა, ეს ძვირფასი თვალი და ობოლი მარგალიტი.

ძველად თქმულა: მეგობარს პირში უზრახე, მტერს პირს უკანაო. დღეს ისეთი დრო დაგვიდგა, რომ უშიშრად შეგვიძლია ორთავეს, მეგობარსაც და მტერსაც, პირში ვუზრახოთ, ორივე ვამხილოთ, თუ სამხილებელნი არიან.

მართლაც, რომელი ვნება შეედრება იმ ვნებას, რომელიც თავს ატყდება სამშობლოს მამულების სხვის ხელში ჩაგდებით და თავისიანებისაგან გამოწირვით!

კაცი შეიძლება შესცდეს სამამულიშვილო კითხვების გარჩევაში, გარნა ეს შეცდომა, ვითარცა შეცდომა, გასწორდება, თვით შემცდარი ისევ მობრუნდება და, შეიძლება, ყველას გადააჭარბოს მამულიშვილობით. ამის მაგალითები ბევრი ვიცით ჩვენ ყველამ. გუშინდელნი, ვითომ საქართველოს და მის ლიტერატურისა და განათლების მტერნი, დღეს უპირველესნი მზრუნავნი და გულ-შემატკივარნი არიან თვისის მამულისა და ენისა.

სულ სხვაა დედა-მიწის გაყიდვა. გინდ ნებსით გაიყიდოს მამული, გინდ უნებლიეთ, ორივე შემთხვევაში გამყიდავი დიდს დანაშაულს იდებს კისერზე წინაშე თავის მემკვიდრეებისა და წინაშე მთელის სამშობლოსი. მისი საქციელი ველარ გასწორდება ვერც სინანულით და ვერც დრო-ჟამის მსვლელობით. ძვირფასი თვალი ერთმა ბრიყვმა წყალში ისროლაო და ათასმა ჭკვიანმა ველარ ამოიღოო. ასეა მამულის გაყიდვის საქმეც.

მისი მყიდველი შიგ სახლდება მკვიდრად, ლობე-ყორეს უახლებს, არხებსა და რუებს უწმენდავს, ვენახებსა, ზვრებს და ტყეს ასუფთავებს და ყველგან ასახლებს თავისიანებს. მოსული ხდება ბატონად და უფლად ბინადართა სასახლეებისა, კერიისა, საყდრებისა და საფლავებისაც-კი. მასში აღებული ფული-კი იფლანგება და ქარქთვეტასავით ნიავდება და წყალდება.

ერთი იძენს საუკუნო სამკვიდრებელს, მეორე ჰკარგავს იმ მასაზრდოებელ წყაროს, რომელსაც ჩვენ, ქართველნი, სამართლიანად ვუწოდებთ **დედა-მიწას**. ერთი იძენს უშრეტს წყაროს ცხოვრებისას, მეორე ითვლის ბრჭყვიალა ლითონს, რომელიც იმდენად არას ჰმატებს კაცს, რამდენადაც თვისს მონად ჰხდის მანამდე თავისუფალს არსებას.

ამიტომაც დედულ-მამულის სხვა ტომ მოდგმის ხელში ჩამგდებელს ყველა ქვეყნებში ზიზღით უყურებენ, მას აღარ სთვლიან თავის სისხლ-ხორცად, მას აცხადებენ მამულის მოღალატედ და ყველას ავალებენ მასთან შესწყვიტონ ყოველივე კავშირი და დამოკიდებულება.

ჩვენში-და?.. ჩვენში ჯერ ეს ესრე არ არის. ჩვენში თვით მამულის გამყიდავნი დიდ პატრიოტებად ითვლებიან, და ამ „პატრიოტებს“ ის გაბედულებაც აქვთ, რომ სხვანი გამოაცხადონ მამულის მოღალატედ... ეს საცინელი იქნებოდა, რომ სამწუხარო არ იყოს. სამწუხარო-კი იმიტომ არის, რომ დღევანდლამდის ჩვენ ვერ გაგვირჩევია, რაა ჭეშმარიტი მამულიშვილობა და რაა ნამდვილი მოღალატეობა წინაშე მამულისა და კერიისა, ამ ყოველ გაგებულთა წმიდათა უწმიდესისა.

როგორც არ გაიყიდება დედა, ისე არ გაიყიდება დედამიწა, თუ რასაკვირველია, მისი მტკეპნი ირაო და უძლები შვილი არ არის. განათლებულნი ერნი, თუ ვიწროდ არიან სამშობლოში, მიდიან შორ ქვეყნებში, ხშირად ხაშმიანსა და გველიან ადგილებში სახლდებიან, მხნეობენ, ირჯებიან, იძენენ დიდ-ძალ ქონებას, აარსებენ კოხტა ქალაქებს და იშენებენ ტურფა სასახლეებს.

ჩვენში-კი მდიდარ დედა-მიწას, ტურფასა და უხვს ნიადაგს, თვალ-წარმტაც მინდორ-ველებს მოკამკამე წყლებით, მშვენიერ სასახლეებს, სადაც დაბადებულან და აღზრდილან თვითონ და მამა-პაპანი მათნი, სადაც დარწყებულა მათი

---

*) იხ. „ივერია“ № 141.

ქვანი, საცა შეუძენიათ წინაპართა გადმოცემანი და მისწრაფებანი,—ყველა ამას უგულებელ-ჰყოფენ, ყველა ამას ცვლიან ოქროზე და მალე გლახაკ- ებიან.

ისტორიამ არ იცის ამგვარების პა- იება. ნერონს ჰგმობს შთამომავლო- ა, რადგან იგი, სხვათა-შორის, პა- ივით ვერ მოეპყრო თვით მის გამჩენელ დედას. ჩვენი ისტორია და რის მსჯავრი შეაჩვენებს იმათ, რო- ელთაც მუშაობა, ოფლითა თვისით ურის ჭამა მეტ ბარგად მიაჩნიათ ა გასასყიდად იმეტებენ მათ მა- ოვნებელ-მარჩენელ დედა-მიწას, შე- ნილს ქართველის მკლავით, ქართვე- ის ოფლითა და სისხლით. შრომა, რომა და კვალად შრომა გვეწეროს სწრაფებად, ძმანო ქართველნო, თუ გვინდა აღვიგავენეთ პირისაგან ქვეყა- ისა, თუ არ გვინდა შევიქნეთ ცხოვარ- ა ფარად, რომელსაც კვერთხით ხელ- ი მწყსიან ხოლმე და კომბალით მი- ეკებიან საყასბოსაკენაც დასაკლავადდა აფხულის და ზამთრის იალაღებისკე- ც სასუქებლად და საკრეჭად.

ტფილისი

ჩვენ მოგვივიდა თავართქილაძის დაბეჭდილი წიგნი, № 91—„სურამის ციხე“ დანიელ ჭონქაძისა ავტორის სურათით. წიგნი რიად სუფთად და ლამაზად არის დაბეჭდილი და ღირს სამ შაურად.

ჩვენ მოგვივიდა კიდევ ორი ახალი ქართული წიგნი: „მეფე ირაკლის გლეხი გმირები“, ზ. ჭიჭინაძის მეორე გამოცემა და „შიო არაგვისპირელი“, მეორე წიგნი, ავტორის ფაქსიმილეთი. პირველი წიგნი ბ-ნს ჭიჭინაძეს ბათუმში დაუბეჭდია ძმ. თავართქილაძეთა სტამბაში. ამ წიგნში მოთავსებულია შემდეგი პატარ-პატარა ამბავნი; პაატა თუმურიშვილი, შიგ ქართულ სახალხო ისტორიულ ლექსებით. დაბეჭდილია პირველად შემოკლებით 1878 წ. გაზ. „დროებაში“ და შემდეგს წელს გადაბეჭდილი რუსულად „Тиф. Вѣст.“-ში, გელა ხოსლაშვილი, გიორგი მახათაძე, შავი თრმახათი ეგინობა, ალა მაჰმად-ხანის მოსვლა საქართველოში, მეფე ირაკლისა და ეგინის ჭიდაობა.

მეორე წიგნი დაბეჭდილია „წიგნ. გამომც. ქართველთა ამხ“. სტამბაში, 240 გვერდს შეიცავს პატარა ფორმატისას. შიგ მოთავსებულია 18 ამბავი და მოთხრობა ჩვენის ბელლეტრისტისა, უმეტესად ფსიხოლოგიური ეტიუდები და ნოველლები. მათ შორის ერთი საკმაოდ მოზრდილი მოთხრობაც არის, „ყველა დავკარგე“. ყველა ეს მოთხრობა და ამბავნი დაბეჭდილი იყო ქართულს ჟურნალ-გაზეთებში და ახლად პირველად იბეჭდება ცალკე წიგნად მათი კრებული.

გუშინ, 5 ივლისს, ქალაქის გამგეობის სხდომაზედ განხილული იყო ტფილისის გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ „სასწავლებლის კომიტეტი“ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისა გადარქმეულ იქმნას „საბჭოს აღმასრულებელ კომისსიად“, როგორც მოითხოვს ამას სამოქალაქო დებულება. გამგეობა ამ საგნის შესახებ ვერაფერს ბოლოიო აზრს ვერ დაადგა და ამიტომ მისი განხილვა მეორე დღისთვის გადაიდო.

რადგანაც ტფილისში ახალი ხელოსანთა მოურავი დაინიშნა, ამისათვის დღეს დილის ათ საათზედ, ტფილისის გუბერნატორის ნება-რთვით, დანიშნულია ქალაქის ხელოსანთა დეპუტატების კრება, რომელმაც უნდა ამოირჩიოს 12 კაცი და იმათ მიანდოს ხელოსანთა საბჭოს საქმეებისა და ფულის ანგარიშის წარმოების გადათვალიერება.

5 ივლისს იყო კრება ქალაქის გამგეობისა და უსახელო საზოგადოების წარმომადგენელთა. ხელი უნდა მოეწერათ ხელ-ახლად შეკეთებულ და შევსებულ პროექტზედ ქალაქში ელექტრონით ვაგონების მიმოსვლის შესახებ. პროექტის ზოგიერთმა ადგილმა კიდევ გამოიწვია კამათი და სჯა-ბაასი. ამიტომ საბოლოოდ განხილვა პროექტისა გადაიდო მეორე დღისათვის.

12 ივლისს პეტერბურგიდამ დაბრუნდება ტფილისში კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიის გამგე ბ-ნი ტროფიმოვი.

ტფილისში მცხოვრებ ებრაელებს ხელ-ახლად მიუმართავთ გუბერნატორისათვის თხოვნით, რათა ნება მიეცეთ ქალაქში ცხოვრებისა. გუბერნატორს ეს თხოვნა პოლიცმეისტრისათვის გადაუცია, შენი აზრი შეგვატყობინეო. ტფილისის პოლიცმეისტერი სთხოვს გუბერნატორს, ხელმეორედ აცნობეთ ებრაელთ, რომ მთავრობის განკარგულებით, ებრაელს ნება არა აქვს ქალაქში ცხოვრებისა, თუ ხელოსანი არ არის და არ ირიცხება ქალაქის ხელოსანთა სიაში.

როგორც შევიტყეთ, დეკანოზს ე. ელიაშვილს თავი დაუნებებია სასულიერო გაზეთის „მწყემსის“ ცენზორობისათვის. მის მაგიერ „მწყემსის“ ცენზორად დანიშნულ იქმნა ეგზარხოსის მიერ კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიის წინამძღვარი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მღვდელი გ. გამრეკელი.

სახალხო სკოლების ინსპექტორი ტფილისის ქალაქის გამგეობას სთხოვს, ერთკლასიან სომეხ-გრიგორიანების სკოლას დაენიშნოს შემწეობა 750 მან. წელიწადში და ეს ჯამი შეტანილ იქმნას მომავალ წლის დამატებითს ხარჯთ-აღრიცხვაში.

გუშინ, 5 ივლისს, მარტყოფიდგან ჩამოსული საქართველოს ეგზარხოსი ალექსი გაემართა დუშეთს. ეგზარხოსი გზა-და-გზა დაათვალიერებს დუშეთის მაზრის ეკკლესიებს და შაბათს მიბრძანდება თვით დუშეთს, საცა მეორე დღეს მწირველი იქნება. შემდეგ ეგზარხოსი გაემგზავრება დეკ. ვოსტორგოვთან ერთად კისლავოდსკს, საცა იმყოფება ამ ჟამად სამკურნალოდ მიტროპოლიტი პეტერბურგისა ანტონი.

გაზ. „კავკ.“-ს სწერენ დეპეშით პეტერბურგიდგან, რომ ტობოლის გუბერნიაში გლეხთა მამულების საქმეთა მომწყობი ზოლოტრიოვი დაუნიშნავთ ტფილისში მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის თანაშემწედ გლეხთა მამულების საქმეთა მოსაწყობად. მ. ვ. მახაბელი დაუნიშნავთ გლეხთა მამულების საქმეთა უფროს მომწყობად ამიერ-კავკასიაში.

ტფილისის საათიაქო საქონლით ვაჭრობის ამხანაგობას მოუგია თავის განყოფილებაში ბაქოსა და ბათუმში შარშან 39,541 მ. 55 კ. სამსახურის კაცთ მიეცათ აქედან ჯილდოდ 4,673 მან., თითქმის 8% ჯამაგირისა; გამგეობას-კი და სარევიზიო კომისიის წევრთ 3,095 მ. 68 კაპ. 27,000 მ. მიეცათ დივიდენდათ ამხანაგებს, რომელთაც შეტანილი აქვთ თანხად 225 ათასი მანეთი, ესე იგი 12% (გაზ. „Каспій“).

გზათა მინისტრს გაუგზავნია ტფილისში განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე ევრეინოვი და დაუვალებია, იღონისძიე, რომ მალე გათავდეს დღემდე გაუთავებელი საქმენი იმ მამულებისა, რომელიც უნდა ამიერ-კავკასიის რკინის-გზის მფლობელობაში გადავიდეს, ხოლო მამულის პატრონთ სანუქფოდ წესიერი სასყიდელი მიეცეთო.

როგორც ხმები ისმის, ქართლ-კახეთის საეპარქიო სამასწავლებლო საბჭომ ნება დართო იმ სკოლებში, სადაც ქართულს ასწავლიან, თანახმად იაკობ გოგებაშვილის მოხსენებისა, შემოღებულ იქმნას რუსული სწორი წერა მსგავსად ქართულის წერისა, ესრედ წოდებული „Нормальное письмо“.

5 ივლისს ტფილისის გამგეობის კრებაზედ განხილულ იქმნა კნეინა ან. მახაბლის თხოვნა—დარჩეს მის სახლებში მომავალ წელსაც ვერის სამოქალაქო სკოლა, თუ არა. გამგეობამ დაადგინა: რადგანაც კნ. მახაბლისამ უსაბუთოდ მოკვეთა სკოლის ქირა, ამიტომ მომავალ წლისათვის მოიძებნოს ახალი შენობა, სადაც გადატანილ იქმნას ხსენებული სკოლაო.

ამას წინად გაუგზავნიათ ბათუმში ერთი ყუთი აბრეშუმეულობისა და ვერცხლეულობისა, დაფასებული 2600 მან. გამგზავნს ამ ყუთის გირაოდ აუღია სესხად სატრანსპორტო კანტორის „ნადეჟდა“-საგან 260 მ. მერე გამგზავნს უთხოვნია, რომ ის ფული ბაქოში გამიგზავნეთო; ბაქოდან კიდევ ტფილისში დაუბარებია. 5 ივლისს გაუხსნიათ ეს ყუთი ტფილისში რკინის გზის ვოგზალზე შესამოწმებლად და შიგ ფქვილი-კი აღმოჩენილა. არავინ იცის, სად, ან რომელ სადგურზედ მომხდარა ასეთი ბოროტ-მოქმედება.

5 ივლისს, მუხრანის ქუჩაზედ ალექსანდრე დანდუროვის სახლს ცეცხლი გაუჩნდა ბუხარში, რომელიც ჩააქრეს ქალაქის ცეცხლის მქრობთა რაზმის ორის კაცის დახმარებით.

5-ს ივლისს გერმანიის ქვეშევრდომმა, ედუარდ ზეტცერმა, რომელიც ნავთლუღში სცხოვრობს, პოლიციას გამოუცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ ჯარის კაცმა, მიხეილ ოვსიანიკოვმა, შარვლის ჯიბიდგან ათი თუმანი მომპარაო. ოვსიანიკოვი თუმცა დაპატიმრეს, მაგრამ იგი დამნაშავედ თავს არა სცნობს.

შეცდომის გასწორება:

გუშინდელს მე-141 ნომერში, ქრონიკის პირველ მუხლის ბოლოში შეცდომით არის მოქცეული სამი სტრიქონი: „კვირველია, ჩვენთვის ევროპიული ანტისემიტიზმი უცნაური ხილია და ამ მოძღვრებას საქართველოში ნიადაგი არა მოეპოვება. უბირ-“

ამ სტრიქონების ადგილი ფელეტონის მეორე სვეტშია, მეხუთე სტრიქონის შემდეგ.

ჩვენებური ამბები

ფოთი. კონტრ-ადმირალი სტრონსკი დაინიშნა ფოთის სავაჭრო პორტის უფროსად.

გორი. შუამდგომლობენ, სადაც ჯერ არს, რომ გორის მაზრაში ორის ბოქაულის თანამდებობა კიდევ იქმნას დაარსებული.

ქუთაისი. მთავრობამ შეიწყნარა თხოვნა ებრაელთა პირველ-დასაწყისის სკოლის დაარსებისა ქართველ ებრაელებისათვის. სკოლა წელსვე გაიმართება.

ბათუმი. 15 წლისაზედ ნაკლების ხელის მუშებისათვის აქაურმა მთავრობამ დააწესა მუშაობა მხოლოდ 8 საათის განმავლობაში დღესა და ღამეს.

ბაქო. თუმაევის და კ-ის ფირმა ჰყიდის თავის ნავთის წყაროებს და სხვა ქონებას ინგლისელებზე. ინგლისელები აძლევენ თუმაევს 2 მილიონს ნაღდს და 1 მილიონს აქციებით.

თელავი. მუდამ სიამოვნებით აღსანიშნავია თელავში ახლად შემდგარი სცენის მოყვარეთა დასის მიერ გამართული წარმოდგენები. მართალია, წინადაც იმართებოდა წარმოდგენები ძველი სცენის მოყვარეთა დასის მიერ, მაგრამ ასე გამუდმებით, ყოველ კვირა-კი, არას დროს. ამ ზაფხულს ახლად შემდგარ სცენის მოყვარეთა დასი სცდილობს არ მოაკლოს იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენები ქონებრივად და გონებრივად დაქვეითებულ მუშა-მოვაჭრე-ხელოსან ხალხს. იმედია, ხელოსანი ხალხი მუდამ დაესწრება წარმოდგენას, გაიცნობს და დაუახლოვდება თეატრს.

ამ კვირია, 30 ივნისს, გაიმართა წარმოდგენა სომხითა საქველმოქმედო ძველს თეატრში ანასტასია კიკნაძის გამგეობით. წარმოადგინეს „ძუნწი“, „დატრიალდა ჯარა“ და „მონადირე“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ზოგიერთი ახლად შემდგარ სცენის მოყვარეთა დასის წევრნიც. იმედია, თან-და-თან უფრო ხალისიანად მოეპყრობიან თეატრის საქმეებს.

უცხოეთი

ინგლისი. კაპის პარლამენტში ათი ადგილი ყოფილა თავისუფალი, მაგრამ მთავრობას გადაუწყვეტია, პარლამენტის შეკრებამდე ეს ადგილები თავისუფლადვე დასტოვოს.

ამ გარდაწყვეტილებას მეტად გაუბრაზებია კონსტიტუციის მოწინააღმდეგენი, რომელთაც იმედი ჰქონდათ, ჩვენს თანამოაზრეთ გავიყვანთო და მთავრობას დავუმტკიცებთო, რომ კონსტიტუციის შეჩერება—ხალხის სურვილიაო. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

— გაზეთებს ოფიციალური ცნობა მიუღიათ, ახალშენთა პრემიერების კონფერენცია დანიშნულ დღეს არ მოხდება ჩემბერლენის ავადმყოფობის გამოო. გარდა ამისა, ქალაქის რატუშაში ახალშენთ პრემიერების ბანკეტი უნდა გაემართათ და თავმჯდომარედ ჩემბერლენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ზემორე აღნიშნულ მიზეზის გამო არც ეს მოხდებაო.

— „გაზეთი „Berl. Tagebl.“-ი იუწყება, რომ ვაშინგტონში უარ-ჰყოფენ ხმებს, ვითომც ინგლისი ზოგიერთ ვესტ-ინდოეთის კუნძულებს უთმობდეს შეერთებულ-შტატებს და ნაცვლად ერთ-ერთს ალიასკის ნავთ-სადგურსა სთხოვდეს, რათა დიდ-ოკეანეზედაც მოიკიდოს ფეხიო.

— ცნობილი საქმე პოლკოვნიკის ლინჩისა, რომელსაც სახელმწიფო ღალატი ჰბრალდება, კიდევ გადაიდვა ერთის კვირით, რადგან ამ საქმის მოწმენი ჯერ არ დაბრუნებულან სამხრეთ-აფრიკიდგან.

— კუნძულ ცეილონიდგან ატყობინებენ „Daily Mail“-ს, რომ აღმოსავლეთის სატელეგრაფო საზოგადოებამ ცეილონსა და კუნძ. კაკოს შორის ახალი კაბელის გაყვანა განიზრახათ. ამგვარად ავსტრალია დანარჩენ ქვეყნიერობასთან ორი კაბელით იქნება შეერთებული.

საფრანგეთი. მინისტრ-პრეზიდენტის კომბის განკარგულებით პრეფექტებმა უნდა აცნობონ სარელიგიო კონგრეგაციებს, (რიცხვით 2,000-მდეა) რომელთაც მთავრობისაგან საფრანგეთში დამკვიდრების ნებართვა არ აუღიათ, რომ ასოციაციათა კანონის გამოცხადების შემდეგ ერთის კვირის განმავლობაში უეჭველად უნდა გააუქმონ თავიანთი დაწესებულებანი და გავიდნენ საფრანგეთიდგან. თუ ამ განკარგულებას არ დაჰყაბულდებიან, იმ შემთხვევაში თვით პრეფექტები უნდა შეუდგნენ ამ დაწესებულებათა გაუქმებას.

— გარდაცვალებულის დეპუტატ კალვინიაკის ადგილი ცნობილ რადიკალთა მოღვაწეს ვაჭრობის ყოფილს მინისტრს—მეზიურერს შესთავაზეს, მაგრამ უარი განაცხადა. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ მეზიურერს დიდ სადიპლომატო ადგილს აძლევენო, სახელდობრ, ბრიუსელის ელჩის თანამდებობასაო.

სამხრეთ-აფრიკა. ინგლისის ცნობებს რომ ვერწმუნოთ, ბურები დიდის სიხარულითა და აღტაცებით მიეგებნენ ზავის ჩამოგდებას; მაგრამ „Temps“-ის კორესპონდენტი სულ სხვას იტყობინება დურბანიდგან. როდესაც ტრანსვაალის ვიცე-პრეზიდენტი შალკ-ბურგერი მოვიდა აქ, ტყვე ბურების ბანაკში, და შეატყობინა მათ ზავის ჩამოგდება, ისეთი გოდება და ტირილი ასტყდა, რომ მათი ცრემლი ზღვას შეერთოდაო.

ინგლისელებს ეს ტირილი, ალბად, სიხარულის ტირილად მოჰლანდებიათ!

— ბურების სახელოვანი სარდალი ლუკა მეიერი 9 მკათათვეს კაპშტადტიდგან ინგლისს გამგზავრებულა.

კუნძული მარტინიკა. სწორედ უბედურ ვარსკვლავზედ გაჩენილა ეს ბედ-შავი კუნძული. დეპეშით იტყობინებიან, რომ კიდევ ამოუხეთქია ერთ ვულკანს (ცეცხლის მფრქვევ მთას) და სრულებით გაუნადგურებია ადმინისტრატიულ ცენტრის — ნავთ-სადგურ ფორტ-დე-ფრანსის—მიდამო. თუმცა დეპეშა დაწვრილებით არ იუწყება, რომელ ვულკანს დაუწყია მოქმედება, მაგრამ მოხსენებულია სახელი კარბე, და აქედგან-კი ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ეს ვულკანი პიტონ დე-კარბე უნდა იყოს, რომელიც რაცა ხანია ჩამქრალი ეგონათ. ამ ვულკანის კალთაზედ გაშენებული იყო დიდი სოფელი—კარბე, 2,700 მცხოვრებით, რომელნიც შაქრის პლანტაციების გაშენებას მისდევდნენ. ჰშიშობენ, რომ ეს სოფელი სრულებით დაქცეული არ იყოს. თვით ფორტ-დე-ფრანსის შესახებ არას იტყობინებიან, გარდა იმისა, რომ მცხოვრებთ შიშის ზარი დაეცათო.

სხვა-და-სხვა ცნობები

აკაკის ავადმყოფობა.

აგერ ორი თვე სრულდება, რაც ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი მძიმე ავადმყოფი არის, წევს თავის სახლში დაბა საჩხერეს, სადაც ავად გახდა გულის ავადმყოფობით, რომელიც კარგა ხანია დასნეულებული აქვს და რომელიც მუდმივ მოვლას, ფარეზობას, რიგიან მკურნალობას და დამშვიდებულს ცხოვრებას თხოულობს, რაც აკაკის არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიან თავის ხელმოკლეობის გამო.

ფელეტონი

⁂

გამაგრდი, გულო! გაქვავდი,
გახდი ვით სალა-კლდისაო,
ნუ-თუ არ იცი, რაც გელის,
ნაშობო შავის დღისაო?

—

შენდამ შენ შეგრჩეს სოფელი,
ვის შერჩენია სხვასაო?
განა, შენ ელი, რაც სთესე,
სანაცვლოდ მომკის დროსაო?

—

არა! სოფელი წრეულია,
არვის დაინდობს მუხთალი,
მარჯვნივ და მარცხნივ ტრიალებს
მისი წყეული ბორბალი.

—

გუშინ ხომ გახსოვს, რაც იყო?
მუხლ-მოყრით გთაყვანებდიან,
დღეს ყველა ზიზღით გახსენებს,
შენს დანახვაზედ ჰკრთებიან.

—

და გაძახიან სახალხოდ:
„ახია მისთვის ესაო!“,
არვის შესტკივა ჩაგრულის
შენის გულისა კვნესაო.

—

მაგრამ, თუ ბედმა ბორბალი
კვლავ მარჯვნივ მოატრიალა,
და ზვავუდებრივ გეთვისა,
შეგიტკბო, შეგეტრფიალა,—

—

მაშინ მერწმუნე, ყველანი
აღერსით შეგეგებიან,
და შენნი მტერნი, მდევარნი
მოყვასად გაგიხდებიან.

—

ასეა წუთი-სოფელი
და მისთა ეტლთა ტრიალი,
ვერვინ დასცალა ბოლომდე
სიტკბოთი სავსე ფიალი.

კოწია გიორ. დადიანი.

ქართული ლაპარაკი

ამ დროული კაცი ვარ და ჩემს დღეში სალოცავად არ მივლია, მხოლოდ ამ ცოტას ხანში საშინელმა სურვილმა ამიტანა „ჩემთა ცოდვათა მოსანანიებლად“ ჩვენი ძველთა უძველესი მონასტრები დავიარო და ამით მაინც ვაცხონო ჩემი ცოდვილი სული.

მაგრამ ჩემი კეთილი განზრახვა თავიდამვე ხათაბალათ გადამექცა. პირველად წაველი—ბერებისაგან ლოცვა-კურთხევა მივიღე; მხოლოდ, მანამ დავბრუნდებოდი, ბ-ნმა აკაკი წერეთელმა გზაშივე ისეთი ლანძღვა-თრევა მომაწია, რომ, სწორედ მოგახსენოთ, ბერების ლოცვა-კურთხევა სულ ერთიანად ჩამაშხამა.

როგორც მოგეხსენებათ, ბ-ნ აკაკის ცოტა რამე პასუხი მივეცი, მერე ავდეგ და ისევ სალოცავად შუა-მთისკენ გავწიე... მაგრამ, წარმოიდგინეთ, ეს მეორედ სალოცავად წასვლაც გამიუგემურეს: ბ-ნს მოსაუბრეს დაუბეჭდია გაზეთ „კვალი“-ს 27 ნომერში სხვა-და-სხვა ლანძღვა-თრევა და ამასთან გულ-წრფელს სურვილს აცხადებს, რომ „ბ-ნი ნინია გარეჯელი, არა თუ იმერელი, არამედ გარეჯელიც არ იყოს“.

წავიკითხე—შენი მტერი—ჩემი საქმე: მამწყდა წელი და ვთქვი ჩემს გუნებაში, რომ სალოცავად სიარული თითქოს უბედურობა ყოფილა. სწორედ მოგახსენოთ, არ ვიცი იმერულად რასა ნიშნავს მოსაუბრის ნატვრა, და ჩვენებურად-კი ეს ნატვრა ნამდვილი წყევლაა, რადგანაც, თუ შენს მოძმეს რაიმე დანაშაულობის გამო ეჯავრები, ის უეჭველად გეტყვის: „ნეტავი შენ ჩემი ძმა არ იყოო“.

ამისთანა უცნაურმა წყევლამ... ერთობ შემაფიქრა და იძულებული ვარ ამ წყევლის მიზეზიც, შეძლებისა დაგვარად, გამოვიკვლიო.

ვინც ჩვენს დროგამოშვებით მწერლობას თვალ-ყურს ადევნებს, იმისათვის ნათელია, რომ გაზეთი „კვალი“ მხოლოდ ცხოვრების ქონებრივს მხარეს აქცევს თავის მეცნიერულ ყურადღებას და, რაც-კი შეეხება ადამიანის ჭკუა-გონებას, მის გრძნობასა და სულს, ყოველივე ესე თურმე დამოკიდებულია ქონებრივს მეტ-ნაკლებობაზედ. გამოდის, რომ, თუ ქონება ბევრი გაქვთ, ჭკუაც ბევრი გექნებათ და, რაღა თქმა უნდა, სულითაც ძლიერი იქნებით, ვითარცა „კვალის“ რედაქცია; და თუ ბევრი ქონება არა გაქვთ, უჭკო, უგონო და სულით უძლური იქმნებით. მართალია ქრისტე ღმერთმა ბრძანა, „არა ერთითა პურითა ცხონდება კაციო“, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, დღეს ზოგიერთნი ღმერთს ჭკუით ვეღარა სცნობენ და ქრისტესაგან წარმოთქმული ჭეშმარიტება „კვალს“ გაუგებარ მეცნიერებად მიაჩნია და ჰგონია, რომ მარტო პურითა ცხონდება თვითონ და სხვასაც აცხონებს.

ჩვენ-კი, როგორც ქრისტეს მცნების მტკიცე მორწმუნენი, ვფიქრობთ, რომ ადამიანის ცხოვრებაში ქონებას იმოდენა მნიშვნელობა აქვს, რაოდენიც საკმაო სიმშილის ასაცილებლად და გაურყვნელ სულისა და ხორცის დასაკმაყოფილებლად; დანარჩენი ქონება—ღვთისა და ერისაა.

„კვალის“ ზემოხსენებულ გვერდელა მიმართულებიდამ წარმოსდგება მისი სხვა-და-სხვა უცნაური მუცლის გვრემა და, სხვათა შორის, ის ახირებული ჩაცივება, რატომ „ივერიის“ რედაქციამ ოც-და-ხუთის წლის იუბილეი არ გაჰმართა და შესაფერი სიტყვა არ წარმოსთქვაო; ამ ჩაცივებაში ისეთი კილოთიც ლაპარაკობს, გეგონება ვისთვისმე სწყენსო.

მაგრამ, განა „კვალის“ რედაქციამ არ იცის, რატომ არ წარმოვსთქვით? ძალიან კარგად იცოდით; მარტში—დიდ-მარხვას,—თქვენ ელოდდით „ივერიის“ ქელეხს, სადაც თქვენ, ქონების დიდი თაყვანისმცემელნი, ჩვენის სიკვდილით, საკუთარის კუჭის გაძღომას აპირებდით; მაგრამ, ღვთის მადლით, მომაკვდავმა გაზეთმა სული მოიბრუნა, „კვალის“ საბუთიანი იმედი გაცრუვდა და ქელეხი ქორწილად გადაიქცა.

რამ მოუბრუნა მომაკვდავ გაზეთს სული? სწორედ იმ მიმართულებამ, რომელიც თქვენ არა გწამთ და არ მოგწონთ, და ამისათვის კლერიკალებს, ფეოდალებს, ცრუ-პატრიოტებს და კიდევ ბევრს სხვა ამისთანა სახელებს გვიწოდებთ.

იგივე მატერიალური მიმართულება დაამტკიცა „კვალის“ წარმომადგენელმა ბ-ნმა მოსაუბრემ, როდესაც გადმომწვდა მე, ვითომდა ძველის „ივერიის“ მიმართულების ნამდვილ მემკვიდრეს.

როგორც მატერიალისტმა, ჩემდა დასაფასებლად ჯერ კბილები გამისინჯა, ბებერია თუ ახალგაზდაო და რადგანაც გონებით უსინათლო ყოფილა, გამოაცხადა, რომ მე ახალმოვლენილი პუბლიცისტი ვარ, ის-კი ვეღარ დაინახა, რომ მაშინ, როდესაც ბ-ნი მოსაუბრე ან-ბანს სწავლობდა, მე დღევანდელ მატერიალურ მიმართულებას ავის თვალით ვუყურებდი და შესახებ ამისა მაშინდელ „ივერიაშიაც“ ჩემი აზრი გამოვსთქვი, თუმცა არც დიფერენციაცია, არც კატეგორია არ მიხმარია (იხ. „ივერია“, 1888 წ., № 111). მართალია, მას აქეთ დიდმა ხანმა გაიარა, მაგრამ დახე ღვთის განგებას: ბ-ნი მოსაუბრე ისევ ან-ბანსა კითხულობს და მე ისევ იმ აზრისა ვარ, რომელიც 14 წლის წინად წარმოვსთქვი. მე მაშინ ვამბობდი და ეხლაც ვამბობ: „პირველი ნაბიჯი კაცობრიობის ისტორიულ ცხოვრებისა იყო მისი თავის დახსნა ბუნების მონობისაგან. აქ არის თავი იმისის ბედისა და აგრეთვე უბედობისა, მხოლოდ ბოლო უძევს იქ, სადაც მოისპობა ადამიანთა და ერთა შორის მონობა. ეს მეორე

ბევრმა გამოჩენილმა ექიმმა ურჩია ბ-ნ აკაკის, რომ უსათუოდ წასულიყო საზღვარ-გარედ იქაურ სამკურნალო წყლებზედ და გამოჩენილ ექიმებთან თავის მოსარჩენად, მაგრამ ვერ მოახერხა წასვლა. ვერ მოახერხა ისევ და ისევ თავის ხელმოკლეობის გამო. მართალია, აკაკის ჩაუვარდება ხოლმე რამდენიმე ასი—თუნდა (იშვიათად-კი) ათასი მანეთიც ხანდისხან ხელში, მაგრამ ამას ისეთი შინაური გაჭირვებაც თან დაჰყვება, რომ ყოველ პირად გაჭირვებას დაავიწყებს ხოლმე.

სამი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც ბატონს აკაკის პირველად მოუარა ამ გულის ავადმყოფობამ და, ორის თვის დიდის მოვლისა და ფარეზობის შემდეგ, თავის საავადმყოფოში, ბ-ნმა სამსონ თოფურიამ გამოაბრუნა.

შარშან-წინ, როცა სამსონ თოფურია საზღვარ-გარეთ იყო, კიდევ მოუარა აკაკის ამავე ავადმყოფობამ ქ. ქუთაისს, სადაც ორმა ექიმმა ბ-ნ გაბრიელ გოკიელიშვილმა და პარმენ ჭიჭინაძემ დღე და ღამე გამუდმებულის ექიმობით და ფარეზობით, ერთის თვის წოლის შემდეგ გამოაბრუნეს აკაკი.

ამ ჟამად ავად გახდომის დროს შეესწრო ჭიათურის ექიმი (საჩხერეში ექიმი არ არის) ბ-ნი ჯაფარიძე, რომელმაც რამდენიმე დღე-ღამე გაატარა უძილოდ აკაკის მოვლა-ფარეზობაში. აგრეთვე რამდენჯერმე ამოვიდნენ ქუთაისიდგან საჩხერეში ავადმყოფ მგოსანთან ექიმები ბ-ნნი პარმენ ჭიჭინაძე და გაბრიელ გოკიელიშვილი, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, თუ არ მოჯობინებულიყო აკაკი, თითო კვირა მორიგეობით თავ-დადგომა ავადმყოფის მოსავლელად.

თუ მიიღებენ მადლობას, რასაკვირველია, დიდის მადლობის ღირსნი არიან ყველა ზემოდასახელებული პატივცემული ექიმები არა თუ ჩვენგან, არამედ მთელის ქართველობისაგან, რომელიც-კი აფასებს თავის ეროვნებას და ლიტერატურას თავიანთ ასე გულმოდგინე და სრულიად უანგარო შრომისათვის.

დღეს, მადლობა ღმერთს, აკაკი იმდენად უკეთ არის, რომ კაცს თამამად შეუძლიან სთქვას, „გამობრუნებულიაო“.

აგერ ეს რამდენიმე დღეა, რაც სხვის დაუხმარებლად საწოლიდგან შეუძლია ადგომა და ოთახში სიარული; ცოტაოდნად უკეთ მოჯობინდება თუ არა, გადაწყვეტილი აქვსთ ბორჯომში გაჰგზავნონ ავადმყოფი მგოსანი სამკურნალოდ.

სოსიკო მერკვილაძე.

ახალი ხანა წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის ცხოვრებაში. ჩვენში რომ ყოველგვარი საამხანაგო საქმე ან სულ ვერ ხეირობს, ან კიდევ კუს ნაბიჯით მიდის,—ეს დღეს ყველასათვის აშკარაა. ამ სიაშკარავესათვის გვერდი ვერ აუხვევია ვერც წიგნების გამომცემელ ქუთ. ამხანაგობას, იგიც დღემდე სხვებსავით მიღოღიალობდა და გზა და გზა თითოოროლა თესლს აბნევდა თავისის არსებობის საჩვენებლად. დღეს-კი ხსენებულ „ამხ.“-ას, როგორც ეტყობა, ახალი ხანა უდგება არსებობისა. თუმცა მოგვიანებით, მაგრამ მაინც უკვე აუღია ალღო და შეუგნია, რომ სქელტომიან, ძვირფას და საინტელიგენტო წიგნების გამოცემით არ უნდა განისაზღვროს მისი დანიშნულება. დღევანდელ ჩვენს ამა თუ იმ განმანათლებელ დაწესებულებას თუ რომელსამე ეჰირვება სახალხო ხასიათის მიცემა, გამდაბიურება,—ეს სწორედ წიგნების გამომცემლობის საქმეა. აი აქ არის საჭირო მათი ხალხისადმი ხელმისაწვდომად გარდაქმნა და ეს მით უფრო საჭიროა დღეს ჩვენთვის, რომ დღევანდელი ჩვენი პრესა ამ გვარ მიმართულებას ძალაუნებურად მოკლებულია: იგი ჯერაც მარტო რჩეულებს, ინტელიგენციის ემსახურება, მათ სამოქმედო პროგრამას, თუ კერძო ინტერესებს და ჭირ-ვარამს არკვევს, მათში დაბადებულ დასთა გზის გამკაფავია, თუ-კი ამ უკანასკნელ ეპიტეტის მიძღვნა მისთვის ზედმეტი არ არის. იგი ხალხის გონებრივ საზრდოსათვის იმდენად ჰზრუნავს, რამდენათაც ეს ამა თუ იმ გამოცემის არსებობისათვისაა საჭირო.

ქუთათური „ამხანაგობაც“ ამ ბოლოს დროს ამ მარტივ აზრის სამსახურს შესდგომია და ამის დამამტკიცებელ საკმაო ნიშნებსაც ვხედავთ დღევანდელ მის მოქმედებაში. ამაზე აი რას გვეუბნება ახლანდელი გამგეობა „ამხ.“ თავისს ქართულად დასტამბულ უკანასკნელ წლის ანგარიშის მე-2 გვერდზე: „ამხ. გამგეობამ“ წიგნების გამოცემის დროს დაიდვა მიზნათ: 1) შეესრულებინა საკუთრივ გამომცემლის როლი, ე. ი. დაესტამბა წიგნები და შემდეგ დასტამბული მიეწოდებინა საზოგადოებისათვის და 2) ლიტერატურის გამდიდრებისათვის ხელი შეეწყო. ამ ორივე მიზანს მისი ფიქრით საფუძვლად უნდა დასდებოდა უფრო **საზოგადოებრივი ინტერესი**, ვიდრე ინდივიდუალურ-კომერციული, ამიტომ იგი სცდილობდა გამოეცა იმისთანა მასალა, რომელიც შეძლებისამებრ ხალხის გონება-ზნეობისათვის სასარგებლო ყოფილიყო და ამასთანავე **ხელმისაწვდომი ფასის მხრივ და მისი განვითარებისათვის შესაფერი.**

ამ სურვილის მისაღწევად ა), დაურიგებია სათარგმნელად უცხო მწერალთა (რუსეთის, ევროპის) ნაწარმოებნი, რომ შემდეგ გამოეცა; ბ), მიუმართავს წერილებით 1900—1901 წ.წ. ქართველ და რუსის მწერალ-მეცნიერთათვის და უთხოვნია მათთვის „ამხ.“ დახმარება. „ახალის, ჯერ დაუწერელ მასალის მოწოდებით“.

გამგეობა ამ კერძო მიმართვასაც არ დასჯერებია და გაზეთის საშუალებით საპრემიო კონკურსი გამოუცხადებია (ორიგინალურ ნაწერზე 150—100 და 50 მან., ხოლო თარგმანზე—70—50 და 20 მან. რაც არა მცირედი ჯილდოა გამრჯელისათვის ჩვენში). ამ კონკურსის ბედ-იღბალის გამო-კი გამგეობა გულდაწყვეტილი ასე შენიშნავს: „მართალია, თხზულებათა საპრემიოდ წარმოდგენის დრო ჯერაც არ გასულა, მაგრამ **სამწუხაროდ, აქამომდე სრულიად არავის წარმოუდგენია საკონკურსოდ არავითარი თხზულება, არც ორიგინალური და არც თარგმნილი** (გვ. 4). და ამ გვარი მწუხარება არა პირველი და უკანასკნელია ჩვენ მიერ ზევით ნათქვამ აზრის—**სამეცნიერო ძალთა უქონლობის**—დასამტკიცებლად.

წიგნების გაყიდვა-გავრცელების საქმეშიც ახალ გზას დასდგომია ახლანდელი გამგეობა „ამხ.“-სა. დღემდე «ამხ.» სხვა-და-სხვა ადგილებში აგენტები ჰყავდა კერძო კაცთა თუ მაღაზიების პატრონთა სახით, რომელთაც ეგზავნებოდათ საკომისიოთ (20—30$^0/_0$-მდე გაყიდულ წიგნებისა) გასაყიდად „ამხ.“ დაბეჭდილი წიგნები. ახალ გამგეობის ხელში გადმოსულა ამგვარ აგენტებზე დარჩენილი წიგნების ანგარიში 2,743 მ. 13 კაპ. როგორც ჰხედავთ, საკმაო ფულია დაბანდებული, მაგრამ მაინც აგენტები ყურსაც არ იბერტყენ, როგორც ძველის, ისე ახალ გამგეობის მრავალგზით გახსენებაზედ. „ამხ.“ ახალი გამგეობა ამაზედაც სამართლიანად გულნატკენია და თავისს გულ-ნატკენობას ანგარიშის მე-5-ე გვერდზედ ორ-ჰწკარიან ფრაზით ასე გვიხატავს: „... მაგრამ **უმეცრობას არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ასეთ თხოვნისათვისო**“ და თან დასძენს, რომ ზოგს უარიც უთქვამს ვალის გადახდაზედ „არა საპატიო მიზეზების გამო“ და ზოგსაც კიდევ პასუხის ღირსიც-კი არ გაუხდია „ამხ.“ გამგეობა. ახირებული მტაცებლობაა სწორედ „ამხ.“ ქონებისა ასეთი საქციელი ზოგიერთ აგენტისა! ეს ხომ მოსკოველ ან ოდესელ მეფართლისაგან ფართლის გამოწერა და მერე უარის თქმა არ არის?!.

აი, ასე გაკადნიერებულთ ასალაგმავად, გვახსოვს, ძველმა გამგეობამ და კრებამაც რამდენჯერმე გადასწყვიტა და ოქმშიაც შეტანილია, გამოცხადებულიყო გაზეთებში მათი სახელი და გვარი, მაგრამ, არ ვიცით, რა მოსაზრებით, ზრდილობიან იმერთ ეს გადაწყვეტილება სისრულეში არ მოუყვანიათ და დღესაც უმთავრესი ქონება „ამხ.“, როგორც ზევითაა ნაჩვენები, აგენტების ჯიბეებს გადაჰყოლია. რიგიანობა მოითხოვს, ვინც მოვალეა „ამხ.“, დღეს მაინც გაუსწორდეს და დაგვიანებულის პასუხით მაინც გამოისყიდონ თავიანთი დანაშაული, არა მარტო „ამხ.“ წევრთა, არამედ მთელის საზოგადოების წინაშეც.

დღევანდელი გამგეობა-კი მათის ამდენი ხნის დუმილის დასარღვევლად აი რა ღონისძიებას დასდგომია: „რათა მომავალში, თუ სულ ვერ მოსპობდა, შეემცირებინა მაინც ასეთი არა სასურველი მდგომარეობა, რომელიც **ერთობ დიდ ზარალს აძლევდა და აძლევს** ახლაც „ამხან.“, გამგეობამ გადასწყვიტა წიგნების ნაღდ ფულად გაყიდვა აგენტებზედ. მართალია, გამგეობას სულ ერთიანად არ მოუსპია კომისიით წიგნების გაყიდვა, მაგრამ საკომისიო $^0/_0$-ი მან ერთობ შეამცირა, ხოლო ნაღდ მყიდველს **უფრო მეტს უთმობს, ვიდრე წინად უთმობდა**, სახელდობრ: ვისაც ნისიად მიაქვს ამხ. წიგნები, ეძლევა საკომისიო 15$^0/_0$ წიგნების ღირებულობისა და, ვინც ნაღდ ფულად ყიდულობს იმას, ეთმობა 100 ცალამდე 30$^0/_0$, ხოლო ასსა და მეტ ცალზედ —35$^0/_0$“.

გარდა ამისა, გამგეობას „ამხ.“ წიგნების გასავრცელებლად ერთ ახალ ღონისძიებისათვის მიმართვა განუზრახავს. ერთის ცალკე დაქირავებულ კაცის მიერ წიგნების ტარება ქალაქებში ქუჩა-ქუჩა და აგრეთვე ქალაქების მახლობელ დაბა-სოფლებში. ამ აზრით 1901 წელს მიუმართავს წინადადებით ტფილისში „წერა-კითხვის გამ. საზ.“ გამგეობისათვის და უთხოვნია, დავიქირაოთ ერთი (ან თუ საჭიროება მოითხოვს მეტი) კაცი, რომელიც ატარებს სამის დაწესებულების „წერა-კითხვის გამ. საზ.“ და „ტფილელ-ქუთათურ წიგნების გამომცემელ ამხ.“ წიგნებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სასარგებლო წინადადებაო, ნათქვამია ანგარიშში (7 გვ.), მიღებულ არ იქმნაო და მართლაც რომ, სამწუხაროდ, ტფილელთ ჯერაც ვერ შეუგნიათ, რომ მაღაზიებში თაროებზე წიგნების წყობა და ლპობა სრულიად არ შეეფერება „ამხ.“ განმანათლებელ დაწესებულების აზრს. ნუთუ დღეს ყველასათვის ცხადი არ არის, რომ დამტარებლებით (უცხოეთში „ოფენიებით“) წიგნების გავრცელება ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია წიგნების გამომცემლობის საქმეში?!. ამისათვის აქ სწორედ მისწრება იქნება იმერ-ამერთა ხალხისადმი მზრუნველების შეერთება და საერთო ძალით წიგნების გავრცელების საქმის ხელის მოკიდება.

ტფილელთა ამაზე უარის თქმას ქუთათურ გამგეობისათვის გული მაინც კიდევ არ გაუტეხნია და „ვინაიდგან დაბა-სოფლებში და ქალაქ ადგილას **წიგნების დატარება ერთი კარგი საშუალებათაგანია წიგნების გასავრცელებლად**“, ამიტომ გამგეობას გადაუწყვეტია დაიქირაოს ქუთაისში დამტარებელი, „რომელიც იკისრებს სხვა საქმესთან ერთად (?) აქვე და ახლო-მახლო სოფლებში წიგნების გაყიდვას“ და რომელსაც შრომის ფასათ გაყიდულ წიგნების ფასიდგან 25—30$^0/_0$-დე მიეცემა. თუმცა „ამხ.“ ასეთი კაცი ჯერ არ დაუქირავებია, იგულისხმება, უსაღსრობის გამო, მაგრამ მისთვის „შესამჩნევი სამსახური გაუწევია „ამხ.“ წიგნების გაყიდვა-გავრცელების საქმეში ქუთაისში მყოფ ზოგიერთ კერძო პირებს, უმეტესად მანდილოსნებს, რომელნიც **არავითარ საზღაურს არ იღებდნენ თავიანთ შრომაში** და ასობით და ორასობით გამგეობის თხოვნით ჰყიდდნენ ამხანაგობის მიერ 1901 წ. გამოცემულ წიგნებს. ახალი გამოცემები ნახევარზე მეტი ამ სახით გაიყიდა ქუთაისშივე. სწორედ დიდის მადლობის ღირსნი არიან ეს პირნი, რომელთაც **დიდი თანაგრძნობა და გულ-მხურვალეობა გამოიჩინეს ამხანაგობისადმი და ასე უანგაროდ ემსახურებოდნენ მისს ინტერესებს**. ასეთის სიამოვნებით აღნიშნავს გამგეობა იმათ თავმდაბლურ მოღვაწეობას და, იმედია, ამ გვართა რიცხვი ეხლა და ეხლა უფრო იმატებს მომეტებულად მანდილოსნებში, რომელთაგან კარგის წიგნების მიწოდებაზე მყიდველი უარს იშვიათად თუ იტყვის. ამათ და მოსწავლე ახალგაზდობას ამგვარი დახმარება „ამხ.“ ზაფხულობით უფრო შეუძლიათ, როცა ისინი ქალაქებიდგან სოფლად, საგარაკოდ მიდიან. აგარაკებში ქართული წიგნების მიწოდებაზე-კი ყველა მადლიერი დარჩება და მაშ კვლავინდებურათაც მათი შრომა სასიამოვნოდ მოსახსენებელი იქნება არა მარტო „ამხ.„ წევრთათვის...

ახლანდელ გამგეობას „ამხ.“ წევრების გამოღვიძებაზედაც უზრუნვია. ძველ გამგეობას ახალისათვის 238 წევრი გადაუცია. ამათგან სრულ უფლებიან წევრებად ითვლებოდნენ მხოლოდ 88; დანარჩენ 82 წევრს ერთი გროშიც არ შეუტანია საწევრო ფული. ნეტა, რისთვის ეწერებოდნენ ეს დალოცვილები, თუ „ამხ.“ სახრავით არ დაეხმარებოდნენ?! რა „პოჩოტნი დოლჟნოსტები“ აქ ნახეს, რომ ამით ჩვენებურ საქველმოქმედო საქმისაგან ვისმე სახელი დაემსახურებინა?! დანარჩენ 68 წევრს-კი ნაწილი ჰქონია შემოტანილი. მაინც კიდევ გამგეობის სამართლიანი საყვედური აქაც ისმის სიტყვებში; „ყველა ამათ წერილობით, თუ გაზეთებით (ეს მხოლოდ ჩვენში შემოდის ჩვეულება გაზეთების შემწეობით საამხანაგო ვალების გარდახდის გახსენება) გამგეობა სთხოვა პაის ფულის გარდახდა, მაგრამ აქაც იჩინა თავი ჩვენმა **საერთო სენმა: ორიოდეს გარდა სხვების მიერ** გამგეობის თხოვნა დატოვებულ იქმნა უყურადღებოდ“ (გვ. 8-ე). გამგეობას-კი თვისი მეცადინეობა ამით მაინც არ დაუბოლოვებია: სამაგიეროდ იგი ცდილა ახალი წევრების შეძენას ახალგაზდობაში და 32-დე წევრი წარმოუდგინა 29 ივნისის კრებაზე საზოგადოებას მისაღებად. ახალი წევრები; რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით იქმნენ მიღებულნი, მით უფრო, რომ უმეტეს მათგანს უკვე გადაუხდია და იხდის საწევრო ფულსაო, განაცხადა „ამხ.“ მმართველმა გ. გველესიანმა.

ბოლოს „ამხ.“ მოქმედების გაფართოების საქმით დაუგვირგვინებია დღევანდელ გამგეობას თვისი ორის წლის მოღვაწეობა. ამ მხრივ დღემდე ასე იყო საქმე. ერთი შემაფერხებელ მიზეზთაგანი „ამხ.“ საქმეებისა ის იყო, რომ საკუთარი ალაგი არ ჰქონდა წიგნების არც დასაწყობ-შესანახად ⁊ არც გასაყიდათ. ამათი ქონება ხან სად ეყარა და ხან სად. მეორეც „ამხ.“ არ აქვს მუდმივი წყარო შემოსავლისა. აქ მას გაყიდულ წიგნების მოგება და პაის ფული ვერასა ჰშველის, რომ მკვიდრ ნიადაგზე დაამყაროს თავისი წარმოება. ამ მხრივ საქველმოქმედო სახე უფრო ჰქონია, ვიდრე კომერციული. აი ამ ნაკლთა ასაცილებლად, გამგეობას, თუმცა კრების დაუკითხავად, მაგრამ სრულიად სამართლიანად გადაუწყვეტია ბულვარში ტფილისელ ამხანაგობისებური კიოსკი გაეკეთებია, სადაც „ამხ.“ ავლა-დიდება შეინახება და გაიყიდება. ეს კიოსკი დღეს-დღეობით უკვე მზად არის და იქ გადაწყვეტილია „ამხ.“ ივაჭროს, არა მარტო ქართულის გამოცემებით, არამედ ქართულ-რუსულ გაზეთებით და საკანცელარიო ნივთებითაც. ამ კიოსკის გაკეთებას, გამგეობის სიტყვით, „ის კარგი მხარეც აქვს, რომ ფული, რომელიც დღეს აგენტებსა და წიგნის მაღაზიებს ეთმობათ წიგნებზე, რჩება „ამხ.“ კასას და, მაშასადამე, ამ გზითაც ემატება „ამხ.“ შემოსავალს“ (გვ. 9).

აი, ამგვარი ნამოქმედარით წარმოსდგა ახალი გამგეობა „წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობისა“ 29 ივნისის კრებაზე და, რაც ამ დღეს მსჯავრი დასდევს იმათ ნამოქმედარს,—ამაზე ხვალ მოველაპარაკები მკითხველს.

ისო.

ნაკვესი და ნარევი

გაკვრით.

პაროდია

„დღიურიდან“

V

გაზეთს „მატიანეს“ წელს არსებობის 10 წელი შეუსრულდა. ეს გარემოება, როგორც თვით „მატიანემ“, ისე რუსულმა, სომხურმა და თათრულმა ჟურნალ-გაზეთებმა უყურადღებოთ დასტოვეს. ეს უსამართლობაა. გაზეთი სასარგებლო დაწესებულებაა სხვა სასარგებლო დაწესებულებათა შორის, მას ყოველ შემთხვევაში სარგებლობა მოაქვს. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ეს. „მატიანემაც“ დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს. მკითხველი უნდა დაუფიქრდეს ამას.

მაგრამ ამასთანავე ვერც იმას ვიტყვით, რომ

და უკანასკნელი ისტორიული ნაბიჯი გაუღებს ადამიანს, ერს და მთელს კაცობრიობას თავის ბედის კარს, იმიტომ რომ სწავლა-განათლების ძალით და ისტორიულის გამოცდილებით ყოველი საზოგადოება, ერი და თვით უმეტესი ნაწილი მთელის კაცობრიობისა დღეს იმდენად დახელოვნებულია თავის ქონებრივ წარმოების წარმატებაში, რომ იმის ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს, ოღონდ-კი ზემოხსენებული მონობა მოისპოს. დახელოვნებულ კაცის ქონებრივი ბედნიერება მის ხელშია, ოღონდ ხელებ-შეკრული არ იყოს, ნება და უფლება ჰქონდეს თავისის ცხოვრების მოწყობისა“.

აქედამ ბ-ნი მოსაუბრე დაინახავს, თუ არ დააბრმავა პაპიჩემის სალოცავმა, რომ მე არც ძველსა და არც ახალ „ივერიაში“ ერთის რისამე, ანუ ვისიმე ბრმა თაყვანის მცემელი არა ვყოფილვარ, ასე რომ თუ „კვალის“ პროგრამას შეადგენს ჩვენის ხალხის ქონებრივ წარმოების წარმატებაო, ჩვენის გაზეთის მიმართულება ამას არა სჯერდება; მარტო დღიურ ლუკმისათვის ბრძოლა როდი შეადგენს განვითარებულ ადამიანის მიმართულებას, რადგანაც ამ გვარი ბრძოლა პირუტყვსაც-კი შეუძლიან. გაზეთის ნამდვილი მიმართულება იმაშია, რომ მან დაიცვას არამც თუ ადამიანის დღე-დღეური მოთხოვნილება, არამედ ისეთი მოთხოვნილება, რომელსაც აქვს საუკუნო მნიშვნელობა. რასა აქვს ამ გვარი მნიშვნელობა? კაცთა და ღვთის მოყვარეობას, ძმობასა და ერთობას, მამულისა და კაცობრიობისათვის განუსაზღვრელ თავგანწირულობას და ყველაზედ მეტად თავისუფლებას. ჩვენ ერთნაირადა გვძულს თავისუფლების მტერი, გინდ შინაური იყოს, გინდ გარეული.

ვინც ამ მოთხოვნილებას, არამც თუ სიტყვით იცავს, არამედ მის დასაკმაყოფილებლად მწარე ცხოვრებაშიაც იბრძვის, მას, თუნდა ქონებრივის მხრივ ძალიან შევიწროებულიც იყოს, ცა ქუდათ არ მიაჩნია, დედა-მიწა—ქალამნათა. აი ჩვენი გაზეთის პროგრამა, ის პროგრამა, რომლის მოსმენა თქვენის უფროსის მოძმეს ქელეხში ძალიან გსურდათ თქვენ და ბევრს სხვა თქვენისთანა მოძმეს; მაგრამ ნუ დაგვივიწყდებათ: მწიფეს ესროლეს, მკვახე ჩამოვარდაო!

ჩამომკიდებია ბ-ნი მოსაუბრე, რისთვის ან ვისთვის სწეროო? ღმერთმა ნუ იცის თქვენი თავი! და თუ გნებავთ, ამასაც მოგახსენებთ.

ვწერ იმისთვის, რომ ქართული ენა და ლაპარაკი არ დაგვავიწყდეს და მარტო „კვალის“ ანაბარა, ჩვენი ტკბილი და საამური ენა არ დამახინჯდეს.

ვწერ იმათთვის, ვინც ჩემს ნაწერს კითხულობს, მაგალითებრ, ბ-ნ მოსაუბრისათვის, რომელიც თურმე ბეჯითად კითხულობს ჩემს ნაწერს, თუმცა ვერაფერი გაუგია; მაგრამ ეს არაფერი, რადგანაც, დღეს თუ ვერ გაიგო, ხვალ მაინც გაიგებს; მე მხოლოდ ღმერთსა ვსთხოვ, რომ ჩემი ნათქვამის გაგონება ბ-ნ მოსაუბრეს ოდესმე მაინც შეგნებათ გადაექცეს, და აღარ მოიგონოს ჩემს ნაწერზე ის ტყუილები, რომელიც მან მომიგონა. მე ვჩიოდი და კიდევაც ვჩივი, რომ, ჟამთა ვითარების გამო, ჩვენს დედა-ქალაქში, ნაცვლად ჩვენის საკუთარის მწერლობისა, უპირატესი ალაგი უცხო ენის მწერლობამ დაიჭირა. ჩემი ჩივილი ბ-მა მოსაუბრემ ნატვრად მიიღო; იყოს ნება მისი! ამ ტყუილის ცილის წამებით მეკი არა დამაკლდება-რა, მაგრამ მწერლობაში ტყუილის მოგონება-კი დიდად სამარცხვინოა ⁊ ბოლოს გამოდის, რომ ბ-ნი მოსაუბრე თავის თავის მტერია.

ბ-ნს მოსაუბრეს, თავის ღვთისა და ბედის გაუგებრობის გამო, ის ეჭვიც შეუტანია, რომ მე „სომხების მტრობა და ქართული პატრიოტობა მას შემდეგ დავიწყე, რაც რუსულ ენაზე წერის საშუალება წამერთვა“.

მე რომ ბ-ნ ყორღანოვის ტყუილების მტერი ვიყო, ეს იმას სრულებით არა ჰნიშნავს, რომ მე სომხების მტერი ვარ; მე მხოლოდ ტყუილების მტერი ვარ, გინდა ეს ტყუილი სომხური იყოს, გინდა ქართული; და რაც-კი მამულის სიყვარულს შეეხება, მე ჩემს ტოლსა და სწორს არასოდეს არც ჩამოვრჩენივარ და არც ჩამოვრჩები. მართალია, მე ისეთი პატრიოტი არა ვარ, რომ იმერულ ხაჭაპურს, ან თვით გარეჯულ შოთებს მამულის თავისუფლება ვანაცვალო, მაგრამ, რა ვუყოთ, მამულის სიყვარული ყველას თავისებურად ესმის და ამაზედ ნურას უკაცრავად!

არც ის არის მართალი, ვითომ მე რუსულ ენაზე წერის საშუალება წამრთმეოდეს. მე ხომ ბ-ნი მოსაუბრე არა ვარ, რომ იმასავით მარტო „კვალის“ რედაქციაში მოვიკალათო...

მივმართოთ ბ-ნ მოსაუბრის წყევლას.

მკითხველს მოეხსენება, რომ ჩვენმა პაწაწკინა ერმა, თავის ისტორიულ სარბიელზედ, ბევრი უცხო ტომის ხალხის გული მოიგო; ამ გულის მოგებისათვის ჩვენმა ერმა ბევრი სისხლი დაანთხია ⁊ ყველანი დაარწმუნა, რომ ნამდვილი ძმობა სწამს და გუშინდელ მტრებს მართლა ისე ექცეოდა, როგორც ძმებს. ძვირფასად ნამოვნს ძმობას ზოგჯერ ძვირფასი შედეგიცა ჰქონდა: ბევრჯერ ლეკი, ოსი და თათარი საქმით უფრო მეტს სიყვარულს უცხადებდნენ ჩვენს აოხრებულს მამულს, ვიდრე ჩვენი ღვიძლი მოძმე ქართველი. ეს ყოველივე მართალია, მაგრამ როგორ მოხდა ის, რომ ამ ოთხასის წლის წინად ჩვენ არამც თუ ძვირფასად მოგებული მტრის გული დავკარგეთ, არამედ ძმა-ძმას გადავეკიდეთ და ჩვენი საერთო სამშობლო ნაწილ-ნაწილად დავაქუცმაცეთ? ეს ჯერ იმისაგან მოხდა, ჩემო მკითხველო, რომ ჩვენი კეთილი განზრახვა და ჩვენი ნდობა ფათერაკად გადაგვექცა და ის, ვინც ფეხზედ დავისვით, ზედ თავზედ აგვაცოცდა და გველივით ყელზედ მოგვეხვია. საცა დიდი სიფრთხილე გვმართებდა, იქ უგუნური წინდაუხედაობა გამოვიჩინეთ. ამასაც არ დავჯერდით და მამულის ერთობის ციხე შიგნიდამვე გავტეხეთ.

ჩვენის მამულის ერთობის ციხეს წარმოადგენდა მრავალ-ფეროვანი ხასიათი ქართლელისა, იმერლისა და კახელისა. მანამ ქართლის საკვირველი ძალ-ღონე, იმერეთის ხერხი და სიფხიზლე და კახეთის გასაოცარი გამბედაობა შეერთებული იყო, მტერს ვუყენებდით თვალებსა და, რაკი ძალ-ღონეს ხერხი და გამბედაობა მოაკლდა, მას აქეთ ჩვენი ბედის ჩარხიც უკუღმა დატრიალდა. შემდგომ ამ უბედურებისა, ძალ-ღონემ სიფხიზლე დაჰკარგა და ღრმა ძილს მიეცა, ხერხის ალაგი ხრიკმა დაიჭირა და ჩვენი განთქმული გამბედაობა მხდალობათ გადაიქცა. ავ-ზნეს ავი სახელი აქვს განთქმული და, რა საწყენია, რომ ჩვენ ჩვენს თავს ხანდისხან მაინც მოვაგონოთ, რომ ხარმაცებიცა ვართ, ტეტიებიცა ვართ, ბუტიებიცა, ფხუკიანებიცა და ხრიკიანებიცა. პირ-იქით, ჩემის აზრით, ამ გვარი მოგონება ჩვენის ავის ზნის წამლად უნდა გარდაიქცეს და გულ-წრფელი მეცადინეობა ვიხმაროთ, რომ ყოველი ჩვენი ხასიათის ავი ზნე თავიდგან მოვიშოროთ. ყოველი ავი ზნე გამოსარწყავი წყლულია და, თუ ამ ჩვენს წყლულს მეგობრულად ვინმე ნესტარი უჩხვლიტა, ეს ჩხვლეტა არამც თუ ჩავნებელია, პირ-იქით საამური და მარგებელია.

ახლა მკითხველმა გასინჯოს, ნუ-თუ ეს ჩემი აზრი ისეთი საძრახისია, რომ მე, ნინია გარეჯელი, ღირსი არ ვიყო არც იმერლობისა და არც გარეჯელობისა?

მაგრამ, როდესაც მწერალი, კეთილის მაგივრად, ღვარძლსა და შხამსა სთესავს ძმათაშორის, მაშინ ისეთი უგუნური ჩხუბი და შარი იბადება, როგორიც ბ-ნმა მოსაუბრემ ასტეხა.

ნინია გარეჯელი.

„მატიანეს" ნაკლულევანებანიც არ ჰქონდეს. ჰქონდა, როგორც არ ჰქონდა. უფრო მეტი ნაკლულევანება ჰქონდა, ვიდრე ღირსება: უმთავრესი მისი ნაკლი ის იყო, რომ ახალს სიახლისათვის არ სცემდა თაყვანს; ხშირად კვირას მომხდარს ამბავს სამშაბათს მოათავსებდა და თავს იმით მართლულობდა ორშაბათს გაზეთი არ გამოდისო. გამოხვიდოდი, დალოცვილო, ორშაბათსაც! გაზეთი იგივე საზრდოა, ხოლო გონებრივი. როგორც ცხელი ლუკმა, თუნდ უმიც იყოს, სჯობია ცივს, გინდ კარგად შემწვარსაც, ისე გაზეთში შეუმოწმებლად, მაგრამ დროზე დაბეჭდილი ცხელ-ცხელი ამბავი ურჩევნია მკითხველს საზოგადოებას შემოწმებულს ჭეშმარიტებას, მაგრამ ერთ დღით დაგვიანებულს... ასეთია ბუნება საზოგადოებისა...

მეორე ნაკლი—მიმართულებაა. რა მიმართულებისა იყო „მატიანე!" მე ვიცავ ყველა წევრს ერისას ერთად აღებულსო. კარგი და პატიოსანი. მაგრამ, მივმართავთ მკითხველს: განა, ყოველი წევრი ერისა, წრე ან ჯგუფი ღირსია დაცვისა? რასაკვირველია, არა! მაშ ასე: „მატიანე" იცავს მართალსაც და მტყუანსაც. ეს აგებს გაზეთს, მოაკლდება ხელის მომწერლები და ჩამოცლება მკითხველი. მერე, რაც უნდა ხშირად იცვალოს კალამი და შეახმატკბილოს თქმისა და დაუ-თქმის ჩვეული სიტყვა, გვიან იქნება...

საქმე ის არის გაზეთი ემსახურებოდეს ერს, მისს საერთო ინტერესებს. ვინც ამას ვერ მიხვდება, ვაი მისი ბრალი!

ლექსი-

* * *

ადმირალ სერვერას ცხოვრებიდგან. ამ 4—5 წლის წინად, როდესაც ესპანიას ფილიპინეს და კუბის კუნძულის მცხოვრებნი აუჯანყდნენ, ესპანელმა ადმირალმა სერვერამ ძლიან „ისახელა თავი" თავის მოქმედებით. საქმე ასე ყოფილა:

ამ ადმირალს მოუწადინებია, სხვათა შორის, ერთის დარბეულისა და აკლებულის სოფლის დათვალიერება. ადმირალი გადმოსულა გემიდგან და გამგზავრებულა ხსენებულის სოფლისაკენ. ამ სოფელში თურმე ერთი მეამბოხეთა აფიცერი სცხოვრობდა ცოლითა და სამი-ოთხის წლის ვაჟით. როდესაც სოფლისათვის ალყა შემოურტყავთ, აფიცერი და იმისი ცოლი ბრძოლის დროს დაუხოცნიათ, ხოლო ყმაწვილი აკვანში მძინარე რაღაც სასწაულით გადარჩენილა... სოფლის აღების შემდეგ ეს სახლი დაუთვალიერებია იმ ჯარის აფიცერს, რომელიც ალყის შემორტყმის დროს რაზმს უფროსობდა. აფიცერს შესცოდებია ბავშვი, წაუყვანია თან კარავში და ჩაუბარებია თავის ცოლისათვის... ადმირალი სერვერა სწვევია ამ ჯარის უფროსს, როგორც საპატიო პირს მთელს ჯარში. სერვერას ბავშვი რომ დაუნახავს, გაჰკვირვებია და უკითხავს:

— ბატონო აფიცერო! თქვენ ძუძუთა ბავშვით დადიხართ ბრძოლის ველზედ?! დიდი სიმამაცეა, ღმერთმანი!..

— არა, თქვენო მაღალაღმატებულებავ! ეს ბავშვი აქ დარბეულს სოფელში ვიპოვნეთ, აკვანში მძინარე... შემეცოდა, წამოვიყვანე და ჩემს ცოლს ჩავაბარე, რომ მოუვლოს!

— რომ იცოდეთ, რა კარგი ყმაწვილია,—დიმილით განაგრძო აფიცერმა,—ცოდვა არის მაგის უპატრონოდ დაგდება. მეამბოხეთა აფიცრის შვილია; დედ-მამა ალყის შემორტყმის დროს დაიხოცნენ და ეს მძინარე ვიპოვნეთ აკვანში.

— აბა, ბიჭიკო, ხომ ხედავ, რა კარგი პატრონი გამოგიჩნდა?!. მოდი ჩემთან... შენი სახელი, ბიჭიკო?! რა გქვიან შენ სახელად?!—ეკითხებოდა ბავშვს სერვერა.

— Cuba libri, Cuba! (თავისუფალი კუბა),—მოისმა წკრიალა ხმა ყმაწვილისა...

ამის გაგონებაზედ ადმირალი სერვერა გიჟივით წამოიჭრა ფეხზე, ჯიბიდგან რევოლვერი ამოიღო, ხელში მოიმარჯვა და უთხრა:

— აბა, პატარა მეამბოხევ, კიდევ განიმეორე შენი სიტყვები!..- სთქვი, სთქვი!..

— Cuba libri, Cu...—ვეღარ მოასწრო სიტყვის დათავება ბავშმა, რომ სერვერამ რევოლვერი პირში ჩაუდო და ცხელი ტყვია გადაუდაბა საბრალო ყმაწვილს...

— ეს სამაგალი ესა,—მრისხანედ დაიყვირა ადმირალმა,—მაგისთანა მაწანწალები სჯობს რომ არ გაიზარდნენ...

ამ სურათის მნახველმა აფიცერმა და მისმა ცოლმა თავი ვეღარ შეიკავეს და ხმა მაღლა ტირილი მორთეს.

ადმირალმა სერვერამ-კი იმ წამსვე დასტოვა აფიცრის კარავი და საჩქაროდ გაემართა გემისაკენ.

ესეც შენი „განათლებული ევროპიელი"!

* * *

მცირე-წლოვან ძმის პატრონი. (სასამართლოში) **მოსამართლე** (მოწმეს): ბ-ნო ალექსანდრე! თქვენ გყავთ ძმა, ან მამა?

მოწმე. ბ-ნო მოსამართლევ! მე მყავდა ძმა, მაგრამ იგი ამ 137 წლის წინად გარდაიცვალა!

მოსამართ. როგორ თუ 137 წლის წინად?! განა, თქვენ თითონ რამდენი წლისა ხართ.

მოწ. მე-82 წლისა ვარ, მაგრამ ჩემი ძმა-კი, თუმცა დარწმუნებული ვარ, არ დამიჯერებთ, ამ 137 წლის წინად გარდაიცვალა. ნამდვილი, თუ გნებავთ, ეს არის!

მოსამართ. ეგ შეუძლებელია, ბატონო! აგვიხსენით, თუ ღმერთი გწამთ, კარგად... აუცილებლად საჭიროა ამ საქმის გასარჩევად.

მოწ. მაშ კარგი, ყური მიგდეთ, ბატონო, მოსამართლევ. მამა ჩემი რომ 20 წლისა გამხდარა, დაქორწინებულა... 21 წლის მამა ჩემს გასჩენია ვაჟი, ხოლო ცოლი-კი ძეობის დროს გარდაცვლილა. ერთის წლის შემდეგ ვაჟიც მოჰკვდომია,—ჩემი ძმა... მის შემდეგ მამა ჩემი 77 წლამდე ქვრივად ყოფილა, ე. ი. მთელის 55 წლის განმავლობაში!.. 77 წლისას-კი შეურთავს მეორე ცოლი და ამ მეორე ცოლთან გავჩენივარ მე, თქვენი უმორჩილესი მონა; მე ეხლა 82 წლისა ვარ! ეს ციფრები არითმეტიკულად გამოვა ასე: 77—22=55; 55+82=137!.. ეხლა ხომ გჯერათ?!.

ბიბლიოგრაფია

Ежемѣсячный метеорологическій бюллетень Тифлисской физической обсерваторіи. Годъ V, №№ 1 და 2.

ამ სათაურით წინა წლებშიაც, თვე და თვე, იბეჭდებოდა ცნობები კავკასიის ჰავისა და ამინდის შესახებ. 1901 წელს კავკასიის ფიზიკურ ობსერვატორიის გამგე ს. ვ. გლასეკი იანვრის №-ში აცხადებდა, რომ სასურველია უფრო ვრცელი პროგრამით იბეჭდებოდეს ჩვენი ცნობებიო. მის განცხადებას მიაქციეს ყურადღება და გაუხსნეს კრედიტი ბიულეტენების ვრცლად საბეჭდავად. დღეს გლასეკი ამის გამო აცხადებს თავის სიხარულს და აღნიშნავს, თუ რა და რა ცვლილება უნდა მოხდეს მისს ყოველ-თვიურ გამოცემაში, რომელიც ამის შემდეგ არავის არ გაეგზავნება უფასოდ, არამედ ეღირება (12 წიგნი) 2 მანეთად.

სანიმუშოდ იმისა, თუ რა გვარი ცნობები იბეჭდება ამ გამოცემაში, აქვე აღვნიშნავ თითო-ოროლა ცნობას.

იანვრის პირველ ნახევარმა (1902 წლ.) მთელს კავკასიაში თბილის ტაროსით გაიარა, წვიმისა და თოვლის შემორევით. მერე ნახევრის დამდეგს ჩრდილოეთ კავკასიასა და დასავლეთ კავკასიაში გაჩნდა ყინვის ტალღა, რომელიც 20-ს გამძლავრდა და მოედო შუა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიასაც. ჩრდილოეთ კავკასიაში ამ ამინდმა გასტანა 24—25-მდე, შუალასა და აღმოსავლეთ კავკასიაში-კი თვის დასასრულამდე. ყინვის ტალღას თან მოსდევდა დიდი თოვლი, კოკისპირული წვიმა დასავლეთ კავკასიაში, სეტყვა კავკასიონის ქედზე, აგრეთვე ქარბუქი და ძრიელი ქარი მთელს კავკასიაში.

სითბო-სიცივის მაჩვენებელით, და საშუალო ანგარიშით იყო:

კავკავს	—1.1
პიატიგორსკს	—0.6
სტავროპოლს	—1.6
თემირ-ხან-შურას	+1.2
ნოვოროსიისკს	+4.4
სოჭს.	+5.9
ცხუმს.	+6.0
ქუთაისს.	+5.1
გუდაურს	—6.0
გორს.	—0.1
აბასთუმანს	—5.1
ტფილისს	+2.2
განჯას.	+2.2
შუშას.	+0.1
ბაქოს.	+5.9
გუმბრს	—7.3
ახალბაიაზეთს	—5.3
ერევანს	—0.6

გამოცემა შემკულია ფერადებით გამოხატულ საამინდო რუკებით. ამგვარი გამოცემა შეადგენს აუცილებელ საჭიროებას მეურნეობაში.

ჯ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

5 ივლისს.

პეტერბურგი. 5 მკათათვეს შუადღის 12 საათზედ აქ მობრძანდნენ დიდი ჰერცოგი და ჰერცოგინა ოლდერბურგელნი დიდის მთავრების ვლადიმერ ალექსანდრეს ძისა და ანდრია ვლადიმერის ძის თანხლებით. ნავთ-სადგურზე მათ დახვდა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე. იახტა „ისარი"-ს დათვალიერების შემდეგ, ორთქლ-მავალ ნავით „ვეშაპი"-თ უმაღლესნი გვამნი გადვიდნენ დიდის ჰერცოგის იახტაზედ, სადაც მათთვის საუზმე იყო გამართული. საუზმეზედ მიწვეულ იყვნენ აგრეთვე დიდის ჰერცოგის ამალა, გერმანიის ელჩი მთელის საელჩოთი და გერმანიის სამოსწავლო გემის „შარლოტტას" უფროსი. 2 საათზედ დაიშალნენ, ხოლო 2 საათსა და 40 წამზედ იახტა გაუდგა გზას.

ვერჟბოლოვო. გაიარა საზღვარ-გარეთ მიმავალმა იტალიის მეფემ.

ლონდონი. ოფიციალურად. გვირგვინის კურთხევა დაინიშნა შაბათისათვის—27 მკათათვეს.

პეკინი. იუანშიკაიმ და გარეშე საქმეთა მინისტრმა გადასწყვიტეს მიიღონ ტიანძინის დაბრუნების პირობები, თუ ქვრივი დედოფალიც დასთანხმდა.

პარიჟი. «Echo de Paris» იტყობინება, რომ ლუბე მომავალ გაზაფხულზედ ალჟირიდგან დაბრუნებისას ინახულებს იტალიის ნავთსადგურს და იტალიის მეფეს. ორივე ესკადრა ერთმანერთს შეხვდება. იტალიის მეფე სამაგიეროდ დარბაზობას პარიჟში გადაუხდის.

ბრიუსელი. დაიწყო სრულიად-სომეხთა კონგრესი. თავმჯდომარემ სთქვა, იმედია, რომ კონგრესი დაიყოლიებს მთავრობათა, რათა შემწეობა აღმოუჩინონ შევიწროებულს სომხებს. გაზეთ „Pro Armenia"-ს რედაქტორის აზრით, საჭიროა ისეთ გუბერნატორის დანიშნვა, რომელიც ევროპის ნეიტრალურ სახელმწიფოს ეკუთვნოდესო. დასასრულ, გადასწყდა დაარსდეს კომისია კონგრესისათვის პრაქტიკულ მოსაზრებათა წარსადგენად.

ლონდონი. ხმა დადის, ფლოტის ადლუმი სპიტჰედში მოხდება 3-ს (16-ს ახ. სტ.) მარიამობისთვესა.

ვენა. „Fremdenblatt"-ი იუწყება, რომ ავსტრია-უნგრეთის სადამოჯნო კონფერენცია 7-ს (20 ახ. სტ.) ივლისისათვისაა მოწვეული. ამბობენ, დიდად საყურადღებო საქმეები განსახილველიო და, სხვათა შორის, მსჯელობა ექნებათ იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამოიწვია რუსეთის უკანასკნელმა ნოტამ ბრიუსელის საშაქრო კონვენციის გამო.

კავკავი. მოსწყდა ვეება გორა ყინულისა და ნელ-ნელა მოსცურავს სოფელ თმენიკაუსაკენ. დალუპულა 1,500 ცხვარი და 70 ცხენი. ხმა დადის, რომ ხალხიც იმსხვერპლაო.

პეტერბურგი. „კანონდებათა კრებულში" დაბეჭდილია სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებული აზრი ვოლგა-კასპიის თევზისა და ზღვის-ღორის ჰერის წესების დამტკიცების შესახებ. დღეს აუარებელის საზოგადოების თანადასწრებით დიდის ამბით დაკრძალეს ებრაელთა სასაფლაოზედ მექანდაკე ანტოკოლსკი; დაესწრნენ წარმომადგენელნი ხელოვნებათა აკადემიისა, პეტერბურგისა და ვილნოს საზოგადოებათა, მხატვარნი, ლიტერატორნი და დეპუტაცია ნაფიც ვექილთა. დასაფლავების დროს სიტყვა წარმოსთქვეს გრაფმა ტოლსტოიმ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, სტასოვმა, კულიშერმა, პოლლიაკმა, გრუზენბერგმა, მამონტოვმა, გინცბურგმა, გოროდეცკიმ და სილჩევსკიმ. 50-ზედ მეტი გვირგვინი იყო.

6 ივლისი

პეტერბურგი. „Прав. Вѣст."-ში გამოცხადებულია ახალი ვექსელის წესდება. ჟამის საბრძოლი კომისია იუწყება: ასტრახანის გუბერნიისა, ყირგიზის ველის, ტალოვის ნაწილის, ოტკუდას ბინაზედ, ბეკტასოვის ოჯახში აღმოჩნდა ექვსი ავადმყოფი გადამდები სენით, რომელნიც დაიხოცნენ; მკურნალებმა სენი საეჭვოდ იცნეს და მაშინათვე ბეკტასოვის და მის მეზობლების ალაზუყები გარშემორტყმულ იქმნენ; მოახდინეს დეზინფექცია; ვინც ოჯახში გადარჩნენ, სხვა მცხოვრებს მოაშორეს; მკვდრების მახლობელ ბინებზედ მუდმივი სასანიტარო ზემხედველობაა დადგენილი; 25 ივნისს აქეთ ახლად ავად არავინ გამხდარა. 28 ივნისს, ოდესაში, ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს ებრაელი ლინდინი, დასიებულის ფერდის ჯირკვლებითა და ერთობ მძიმედ ავადმყოფი; ლინდინის სადგომსა და ბარგს უყვეს დეზინფექცია; ვისაც ლინდინთან ურთიერთობა ჰქონდა, ექიმების მედველობის ქვეშ არიან. 22 ივნისს ებრაულ საავადმყოფოში მოიყვანეს ავადმყოფი ქარველი, რომელსაც აგრეთვე საეჭვო ნიშნები ჰქონდა; ყველა ღონისძიება იქმნა მიღებული. ორივე ავადმყოფი ადგილობრივი მცხოვრებნი არიან, ამ უკანასკნელს წლებში ოდესიდგან არ გასულან და ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა არა ჰქონიათ. ამ ავადმყოფებს მორჩენის ნიშნები ეტყობათ. ახლად ავად გამხდარი ამგვარის სენით ოდესაში 22 ივნისის აქეთ არ ყოფილა.

სტამბოლი. ჩერნოგორიის ელჩმა პორტას წარუდგინა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ოსმალეთის ჯარმა სადაო ოლქში, „ველიკის" მახლობლად, „მოკრი პლანინაზედ", ხალდაფაშის ბრძანებით თოფის სროლა დაუწყეს ჩერნოგორელებს, ორი მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს; თუ წინააღმდეგი ბრძანება არ გაეციათ, ჩერნოგორია სამაგიეროს გადუხდის.

ლონდონი. მეფეს თანდათან მოჯობინება ეტყობა; დღის უმეტეს ნაწილს გემის ბაქანზე ატარებს სავარძელში.

ბომბეი. „Temps"-ი იუწყება, რომ ბენდერ-აბასში 9 ივლისს მიწის-ძვრა ყოფილა. ყველა დიდი შენობები დანგრეულა. ერთი მკიდრი მოჰკლა. 10 ივლისს მიწის-ძვრა კვლავ განმეორდა, როგორც ეტყობა კუნძულ კიშმის მხრით. ბენდერ აბასში ისმოდა ძლიერი გუგუნი კიშმიდგან. შიშობენ იქაურობაც აგრეთვე არ დანგრეულიყოს.

ათინა. მიტროპოლიტ პროკოპი გამოჩენებით დაასაფლავეს. მთელმა გარნიზონმა სამხედრო პატივი სცა. ეკკლესია დაესწრნენ მეფე-დედოფალი.

მოსკოვი. ახალის სტილის ხუროთ-მოძღვრებისა და ხელოვნურის მრეწველობის გამოფენა დაიწყება პირველ გიორგობისთვეს და დასრულდება პირველ მარტს. იღებენ პროექტებსა, ორგინალ მხატვრობასა და ხელოვნურ ნაწარმოებს. ჯილდოდ სამის ხარისხის დიპლომი იქნება. იმ სურათებით, რომელიც ჟიური მოიწონებს, ფარმებს შეუძლიანთ აკეთონ ნივთები.

პეტერბურგის ბირჟა, 5 ივლისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,27¹/₂
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4¹/₂—6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 ¹/₈ წვ. გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475¹/₂ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	358¹/₄ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	292 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⁷/₈ გაყ.
4¹/₂% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4365 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	172¹/₂ წვ. გაყ.

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით მკათათვის 9-ს, დილის 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა უსუფთაობის ბეტონის არხის გასაყვანად მიხაილოვის პროსპექტიდგან დაწყებული ახალ-ბალის ქუჩაზედ ლეიცის სახლამდე; სიგრძე არხისა 115,00 საჟენია, ხოლო დიამეტრი 0,42×0,28 საჟ.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ პირობათა გასინჯვა შეუძლიანთ ყოველ სადა დღეს 11—2 საათამდე გამგეობის სამშენებლო განყოფილებაში.

(3—6.—3)

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა"

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანაოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები, და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37_{50} ც. ფასი მცირეა. კონკ[illegible]ქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555 (6.—(წლ.

„GRAND PRIX"
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о
„Духи Царскіи верескъ".

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საყმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილის	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სიტყვაა ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილის.	„ 30
ყოველის მხრიდან. არბოლელის.	„ 10
ამოდის ნათელა, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 30
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 5
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
რ. აბაშიძისა	,, 60
დ. გაბრუაშვილისა	,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა	,, 40
მუშათა კითხვა	15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყორღანაშვილისა	1 ,,
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	,, 40
Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ	,, 20
ქართველი წმინდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, იარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, გ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
კოპერნიკიდგან დარვინამდე	,, 10
კანდიდი, მ. ღლაშვილისა	,, 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
უკვდავთა დალადებანი, მ. ჯანაშვილისა	,, 15
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.